დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი შპს სიოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თავმჯდომარე: ნინო ქიტიაშვილი

წევრები:

1. ელისო მურვანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი
I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს სიო
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს
საიდენტიფიკაციო კოდი: 212797945

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 18 ივნისის N697977 ბრძანებების საფუძველზე 2025 წლის 17 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს სიო-ში (ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა) „მასაჟის თერაპიის““ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

შპს სიოს ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის N425898 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ განხორციელების უფლება, სტუდენტთა ზღვრული ოდენობით - 195; ხოლო ახალი ფართის შეძენასთან დაკავშირებით კოლეჯს სურს პროგრამების დამატება.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯი საქმიანობას ახორციელებდა იჯარით აღებულ ფართში ქუთაისი, გალაკტიონ ტაბიძის 72/დ). ახლა კი კოლეჯმა შეიძინა და გაარემონტა საკუთარი შენობა ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა), რაც უზრუნველყოფს უფრო მდგრად და ხანგრძლივ ფუნქციონირებას. ახალი შენობა აშენდა კოლეჯის საჭიროებებზე მორგებულად – გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამების სპეციფიკა, თანამედროვე სტანდარტები და ტექნიკური მოთხოვნები. საკუთარ შენობაში კოლეჯს შეუძლია უზრუნველყოს უფრო მაღალი ხარისხის სასწავლო გარემო, მათ შორის აუდიტორიები, ლაბორატორიები და დამხმარე ინფრასტრუქტურა, რაც დადებითად აისახება საგანმანათლებლო პროცესზე. საკუთარი ფართი კოლეჯს აძლევს შესაძლებლობას უზრუნველყოს საქმიანობის მეტი მოქნილობა და გრძელვადიანი სტრატეგიული და მდგრადი განვითარება.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	20.05.2025 წლის დირექტორის ბრძანება N1-32
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „მასაჟის თერაპია“ – განხორციელების შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრისა და რეგიონული კონტექსტის სიღრმისეულ ანალიზს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი და მის სიახლოვეში მდებარე ქუთაისი ცნობილია როგორც სამკურნალო და რეაბილიტაციის სერვისებზე ორიენტირებული რეგიონი. აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს არაერთი სანატორიუმი, კლინიკა და სპა-სივრცე, რაც ქმნის მასაჟის თერაპევტებზე სტაბილურ მოთხოვნას.

დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირი და არსებული ინფრასტრუქტურული რესურსების ანალიზი ადასტურებს, რომ კოლეჯს აქვს შესაძლებლობა, უზრუნველყოს პროგრამის ხარისხიანი განხორციელება. პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კვალიფიციური პედაგოგები და პრაქტიკის საშუალებები.

პროგრამის დანერგვა სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებს – დაწესებულების მისიაა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად შიდა და გარე ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და გადამზადება, როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამედიცინო ასევე სხვა პროფესიულ სფეროებში, ადამიანური და მატერიალური რესურსების მუდმივი განვითარებით, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობით და რეალურ ბიზნესთან მყარი ურთიერთეფექტური თანამშრომლობის გზით

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

„მასაჟის თერაპია“ პროფესიულ პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, რომელთა წინარე ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას;

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულებაში დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დაგეგმვის პროცესის განუყოფელ ნაწილს. სწორედ აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განისაზღვრა ზღვრული ოდენობა „მასაჟის თერაპიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობაზე. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, ასევე პრაქტიკის ბაზებისა და ობიექტების შესაძლებლობები. ასეთი მრავალმხრივი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას და სტუდენტებისთვის საჭირო სასწავლო გარემოს შექმნას.

<u>დაწესებულებას მოთხოვნილი ჰქონდა შემდეგნაირად: პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით შესაძლებელია ერთ ჯგუფში 30 სტუდენტის მიღება, სულ ორი ცვლის ფარგლებში 60 სტუდენტის მიღება;</u>

<u>თუმცა, არსებულ სასწავლო სივრცეში (ოთახის ფართობიდან გამომდინარე) შეუძლებელი იქნება ერთდროულად 30 სტუდენტის განთავსება და ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა.</u>

<u>შესაბამისად, კოლეჯმა, ვიზიტის ფარგლებში, მიიღო გონივრული გადაწყვეტილება და შეასრულა კორექტირება: ერთ ჯგუფში დაიშვება 15 სტუდენტი, ხოლო ორი ცვლის პირობებში — სულ 30 სტუდენტი. ამასთან, კოლეჯი გეგმავს, მეორე წელს, როცა პირველი ნაკადის სტუდენტები გადავლენ პრაქტიკაზე და შესაბამისი სასწავლო სივრცე გათავისუფლდება, მოხდეს დამატებით მეორე ნაკადის მიღება, შესაბამისად, ამგვარად განაწილებით, თავდაპირველად განსაზღვრული მაქსიმალური ზღვრული ოდენობა — 60 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა კოლეჯს ექნება.</u>

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. დაწესებულების მფლობელობაშია, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსი, მოდულებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა მოიცავს არჩევით მოდულებს - ესთეტიკური მასაჟი და SPA და ბალნეოლოგიური პროცედურები, რომელთაგანაც კოლეჯმა აირჩია - SPA და ბალნეოლოგიური პროცედურები.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის არჩევითი მოდული ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

დაწესებულების შიდა ნორმატიული დოკუმენტების, მ.შ. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება, განსაზღვრულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულებით და ეკუთვნის დირექტორს. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ადმინისტრაციული სერვისები" დამტკიცებულია დაწესებულების შპს სიოს - დირექტორის 2025 წლის 20 მაისის N1-32 ბრძანებით.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „მასაჟის თერაპია", პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდების იდენტურია და ამიტომ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი მასაჟის თერაპია/Higher Vocational Qualification in Massage Therapy , სარეგისტრაციო ნომრით: 09.2.1, პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების შესახებ ინფორმაცია, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სხვა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში იგულისხმება პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა(ქართული ენით და მის გარეშე), ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.8.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ვიზიტის ფარგლებში პროგრამის პაკეტში შემავალ მოდულებში განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც მხოლოდ ტექნიკური ხასიათის იყო და მოიცავდა დაწესებულების მიდგომების შესაბამის ადაპტირებას, მაგალითისთვის, მოდულებში ჩარჩენილი იყო ტერმინი „სარეკომენდაციო", რაც ვიზიტის დროსვე გასწორდა და პროგრამაში შეტანილი ცვლილება დამტკიცდა დირექტორის მიერ.

:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება (20.05.2025. №1-32);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

• A სასწავლო გარემო - გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით და დემონსტრირების საშუალებით.
• C სასწავლო გარემო - აუდიტორია გათვლილია 15 სტუდენტზე და აღჭურვილია 10 სამედიცინო ტახტი/ტაფჩანით, სკამით და სხვა პროგრამით გათვალისწინებული ინვენტარით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი დაწესებულებასთან რომელსაც მობილიზებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული მატერიალური რესურსის სარეკომენდაციო რაოდენობაზე გაცილებით მეტი სამედიცინო ტახტი/ტაფჩანი და სკამი.
შესაბამისად დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აღჭურვილობით შესაძლებელია სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობით. კვირის განმავლობაში, ხუთდღიანი სწავლებით ორ ცვლაში შესაძლებელი იქნება მოთხოვნილი საერთო რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი) მომზადების ერთდროულად გატარება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულია, რომ დაწესებულებას ერთი მოდულის განსახორციელებლად ჰყავს მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ შემუშავებული დანართი 1-ით - ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელთა თაობაზე.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან 7 პროფესიული მოდულებისთვის (მათ შორის 1 პირი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ინსტრუქტორს), 4 ზოგადი მოდულებისთვის, 1 ქართული ენის მოდულისათვის. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ მათმა კვირეულმა დატვირთვამ არ გადააჭარბოს 40 საათს. პროგრამის განსახორციელებლად მობილიზებული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა საკმარისია პროგრამის მდგრადობისა და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისთვის, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
ამდენად, დაწესებულება შესაბამისობაშია 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეები მოიცავს პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომებსა და სერტიფიკატებს, რომელთა საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.
ამდენად, დაწესებულება შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ იგი არის შესაბამისი გამოცდილების მქონე სპეციალისტია, რომელიც კარგად იცნობს საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს, არის მოტივირებული და სიახლეების დანერგვაზე ორიენტირებული. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან ჩატარდა გასაუბრება. დაწესებულებას სასწავლო რესურსი აქვს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. ექსპერტთა მიერ ვიზუალურად შემოწმდა ბიბლიოთეკა. გარემოში განთავსებულია კომპიუტერები სამკითხველო მაგიდები, პრინტერი. კომპიუტერებში ატვირთულია სასწავლო რესურსი და პროფესიული სტუდენტს თავისუფალი წვდომა ექნება მათზე. ექსპერტთა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ამდენად, დაწესებულება შესაბამისობაშია 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. კოლეჯის დებულება არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები.

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარჯებში - პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება და მასალა-ნედლეულის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი.

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

პსდ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის მეოთხე მუხლი ეხება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას, შეცვლასა და გაუქმებას. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესის ეტაპებია: ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა / პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით; ბ) მონაცემების დამუშავება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი; გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის განვითარების სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ; დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა; ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაციაში და აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მიერ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები გაწერილია საზოგადოებრივ კოლეჯ შპს „სიოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოდგენს და რომლის მიზანია: 1. შექმნას დაწესებულების ერთიანი პოლიტიკა, სახელმძღვანელო სტანდარტები, რათა ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას; 2. ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, გარე ფაქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზება და გარე შეფასების ხელშეწყობა. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას. შიდა შეფასება -კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება და მიღებული შედეგების გაუმჯობესებაზე ზრუნვაა, ხოლო გარე შეფასება - ავტორიზაციის პროცესში მიღებული შეფასებების (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი); ასევე, შეფასების მიზნით მოწვეული ექსპერტების შეფასებები და შეფასების შედეგებზე რეაგირებაა მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით. დასახული მიზნების მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს: საგანმანათლებლო საქმიანობისა და რესურსების შეფასების პროცესების/წესების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შემდგომი განვითარებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას. ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს, ვალიდური და გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავებას. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შპს სიოს შემუშავებული აქვს კითხვარები ადმინისტრაციის, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის.

ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.2 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს სიოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია
- შპს სიოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.1 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

2.4.1.2 პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

პროფესიულ სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას, ჩართულობას. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში - დებულებაში (ბრძანება #1-36, 01.07.2024) დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინების ნაწილი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები,

პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები ხოლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი (ბრძანება #3-02, 09.02.2022) არეგულირებს შეფასებისა და აპელაციის პროცედურებს.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.2 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. მოდულებში გამოკვეთილია სწავლის თანამედროვე მეთოდები, პრაქტიკის ობიექტები და დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია,

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.3 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულების მარეგულირებელი წესით - დებულებით (ბრძანება #1-36, 01.07.2024) განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. გაწერილი მეთოდოლოგიის მიხედვით დაწესებულება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.4 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტების შედეგის მიღწევა იგეგმება პრაქტიკის ობიექტზე, პრაქტიკის მემორანდუმში დეტალურადაა აღწერილი პირობები, პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები, რაც არის ადმინისტრაციული სერვისების პროგრამის სპეციფიკით მოთხოვნილი.

დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 2 პარტნიორ ორგანიზაციასთან:

1. შპს ედელვაისი (სასტუმრო პრომეთე) – ერთდროულად 30 სტუდენტი, ჯამში 60 სტუდენტი
2. ი.მ ხათუნა ბიბილეიშვილი - ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტი

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.5 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ადმინისტრაციული სერვისების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებული უსაფრთხოების ნორმების დაცვას, დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების დაცვის მონიტორინგს პერიოდულად, ატარებს შესაბამის ინსტრუქტაჟების უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, შესაბამისად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.6 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმები;
- მარეგულირებელი წესი - დებულება (ბრძანება #1-36, 01.07.2024);
- პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი (ბრძანება #3-02, 09.02.2022);
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.
- შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.
შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი (ბრძანება #3-02, 09.02.2022) არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების და საკვალიფიკაციო გამოცდის, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციის პროცესების შესახებ.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაქსიმუმ 2-ჯერ აქვს გასვლის უფლება პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში ვადები შეზღუდულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება პროფესიული განათლების მასწავლებელს.
პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების მტკიცებულებების განთავსება პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოში, რასაც შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს.
შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესში.
ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო საქმე ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები. წარმოდგენილი ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.1 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

2.4.2.2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 თებერვლის №3-02 ბრძანებით (პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი, მუხლი 13) დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, შესაბამისი ადამიანური რესურსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება ასევე შედიოდეს მოწვეული პირები (დარგის წარმომადგენლები/ექსპერტები).
ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა, როგორიცაა: „დამწყები“ პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი; მოდულის ფარგლებში, როცა ყველა პროფესიულ სტუდენტს მიღებული აქვს უარყოფითი შეფასება და სხვა.
ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება დაწესებულებაში. განხილვაში მონაწილეობა შეუძლია პროფესიული განათლების მასწავლებლებს, დარგის ექსპერტებს, დამსაქმებლებს, ყველა დაინტერესებულ პირს.
ვერიფიკაციის შედეგებიდან გამომდინარე იწერება დასკვნა. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, სადაც აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემური საკითხების გადასაჭრელად.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.2 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულების დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი - ბრძანება #3-02, 09.02.2022). შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება, რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებს, ინახება უვადოდ და აღირიცხება შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალში (ელექტრონულად).

ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.3 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიული პროფესიულ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროება, თუ ამაზე პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად უნდა იქნეს განხილული. კონკრეტული პროფესიულ სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე უნდა იქნეს განხილული. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია უნდა იქნას საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.3 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი (ბრძანება #3-02, 09.02.2022)
- ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.
შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი **04.08.2025**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: